



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანაფი



კანაფი

კანაფი (Cannabis), ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარის გვარი კანაფისებრთა ოჯახისა. ცნობილია ჩვეულებრივი კ. . (C. sativa), ინდური კ. (C. indica), ველური კ. (C. ruderalis) და ამერიკული კ. (C. Americana). ჩვეულებრივი კ. ორსახლიანია (მამრობითი და მდედრობითი), ღერო სწორია (0,5-4 მ სიმაღლის), ფესვი – მთავარღერძიანი, ფოთოლი – დანაკვეთული, მწვანე. მამრობითი კ-ის ყვავილები საგველა ყვავილედია, მდედრობითი კისა – თავაკისებრი. ნაყოფი ერთთესლიანი კაკლუჭაა. კ. იზრდება ჭარბტენიან ნიადაგზე. მოჰყავთ ბოჭკოს მისაღებად. მამრობითი კ-ისგან და ტექ. სიმწიფის პერიოდის მდედრობითი კ-ისგან იღებენ ბოჭკოს (ქერელს), რ-ისგანაც ამზადებენ ქსოვილს. კ-ის სამშობლოა - ცენტრ. აზია, მოჰყავთ მრავალ ქვეყანაში: რუსეთის ცენტრ.

შავმინა ზონაში, სამხრ. უკრაინაში, ბელარუსში, ვოლგისპირეთში, ჩრდ. კავკასიასა და დას. ციმბირში. საქართველოში ბუნებრივად გვხვდება ჩვეულებრივი და ველური კ. მისგან წნავდნენ თოკს, ქსოვდნენ ტილოს, ამზადებდნენ ზეთს, იყენებდნენ სანელებლად, განსაკუთრებით სვანეთში.

ჩვეულებრივი, ინდური და ამერიკული კ-ის ფოთლების, ყვავილოვანი და მსხმოიარე ყლორტებისაგან მიიღება ნარკოტიკული ნივთიერება კანაბისი.
